დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაცია

განხორციელებული პროექტები

ევროპელი დონორების ფინანსური დახმარებით და ესტონეთის სოფლის ტურიზმის ორგანიზაციის მონაწილეობით შემუშავდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების ასოციაციის 2020-2023 წლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.

2021-2022 წლებში ასოციაციამ განახორციელა პროექტი „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი GOOGLE MAP-ზე“ (დონორი UNDP - „Smart Villages“) დედოფლისწყაროს პოპულარიზაციისთვის

პროექტი დაფინანსდა ევროკავშირის (სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD III ფაზა) მიერ და მხარდაჭერილია გაეროს განვითარების პროგრამის, პროექტ „სოფლის განვითარების გაუმჯობესება საქართველოში“-ის ინიციატივა „ჭკვიანი სოფლები (Smart Villages)-ს ფარგლებში.

პროექტის გრანტის თანხა: **8,000.18 $,** თანადაფინანსება: **814 $**

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის Google Maps-ზე მონიშნულია /დამატებულია 300-მდე საჯარო ლოკაცია/ობიექტი და 600 ბიზნესი; მათ შორის, 150-მდე ტურისტული ან ტურისტულად საინტერესო ობიექტი, ასევე 35 პოტენციური ტურისტული ობიექტი. რუკა შეივსო ფოტოებით და ბიზნესების საკონტაქტო ტელეფონებით. მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში ჩატარდა შეხვედრები მოსახლეობასთან და ტრენინგები Google Maps-ის გამოყენების, Google-ის ბიზნესებისთვის განკუთვნილი სხვა სერვისების გამოყენებაზე.

ამ თემაზე ქართულ ენაზე მომზადებული პრაქტიკული სახელმძღვანელო გამოქვეყნდა ასოციაციის საიტზე ბიბლიოთეკაში.

პარტნიორი-დედოფლისწყაროს ადგილობრივი განვითარების ჯგუფი (LAG).

2021-2023 წლებში ესტონეთის სოფლის ტურიზმის ორგანიზაციასთან პარტნიორობით ასოციაციის სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შესაბამისად, ასოციაციამ განახორციელა **სოფლის ტურიზმის ობიექტების ხარისხის პროგრამა**. ამ პროექტის ფარგლებში, სხვა ღონისძიებებთან ერთად, ჩატარდა ტრენინგები ტურიზმში ჩართული ადგილობრივი მეწარმეებისთვის.

დონორი: ესტონეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ესტონეთის სოფლის ტურიზმის ორგანიზაცია

პარტნიორი: დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაცია

პროექტის ღირებულება: 130 288 ევრო